საქმე №1/ბ-4-2020 წელი
№020100118002687449

g a n a C e n i

saqarTvelos saxeliT

11 მარტი, 2020 წელი **ქალაქი ქუთაისი**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ **მარინე იმერლიშვილმა**

სხდომის მდივანი - ნათია ბზიკაძე

სახელმწიფო ბრალმდებლის – ანა ა-------ს,
ადვოკატების – ი----- ჯ-------ს, ი--- შ-----ს,
მსჯავრდებულის – დ----- კ----------ს მონაწილეობით, ღია სასამართლო სხდომაზე, განიხილა დ----- კ----------ს ბრალდების №---------- სისხლის სამართლის საქ-მე.

დ----- კ----------, დაბადებული 1----------ს, საქართველოს მოქალაქე, პირადი №----------, საშუალო განათლების მქონე, ქორწინებაში მყოფი, ნასამართ-ლობის არ მქონე, მცხოვრები ქ. ზ----------, მსჯავრდებულია ზუგდიდის რაიონული სასამართ-ლოს 2019 წლის 26 ნოემბრის განაჩენით დანაშაულისათვის, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-187-ე მუხლის პირველი ნაწილით და შეფარდებული აქვს შინაპატიმრობა 06 (ექვსი) თვის ვადით.

aRwerilobiTi nawili:

დ----- კ----------ს გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრი დაედო ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სხვისი ნივთის განადგურებისათვის, რამაც მნიშვნე-ლოვანი ზიანი გამოიწვია

აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:
2018 წლის 17 სექტემბერს, საღამოს საათებში ქ. ზუგდიდში, კუიბიშევის ქუჩაზე დ----- კ----------მ, გაბრაზებულმა იმით, რომ სახლში ვერ იპოვა ალკოჰოლური სასმელი ხელით და ხის ჯოხით ჩაამტვრია დედის ზ---- პ---------ს კუთვნილი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე არსებული ფანჯრების მინები, რითაც დედას – ზ---- პ---------ს მიაყენა 190,13 ლარის ზიანი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 26 ნოემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა დ----- კ----------ძემ და მისი ინტერესების დამ-ცველმა ადვოკატებმა ი----- ჯ------მ და ი--- შ-----მ, რომლებიც სააპელაციო საჩივრით ითხოვენ დ----- კ----------ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, რასაც ასაბუთებენ იმ მოტივირებით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დანაშაულადაა მიჩნეული სხვისი ნივთის განადგურება ან დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ნივთი კი, რომლის დაზიანებასაც ბრალდების მხარე ედავება დ----- კ----------ს, რეგისტრირებულია მის სახელზე და ზ---- პ---------სი არასდროს ყოფილა.

სააპელაციო პალატამ მოუსმინა პროცესის მონაწილეებს:

– აპელანტს, მსჯავრდებულ დ----- კ----------ს და მისი ინტერესების დამცველ ად-ვოკატებს ი----- ჯ------ს და ი--- შ-----ს, რომლებიც ითხოვენ დ----- კ----------ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

– სახელმწიფო ბრალმდებელს, პროკურორ ანა ა-------ს, რომელიც გასაჩივრებულ განა-ჩენს მიიჩნევს კანონიერად, დასაბუთებულად, სამართლიანად და ითხოვს მის უცვლე-ლად დატოვებას.

samotivacio nawili:

სააპელაციო პალატამ გააანალიზა საქმეში არსებული მტკიცებულებები, პროცესის მონაწილე მხარეებისა და სააპელაციო საჩივრის მოტივირებანი და მოთხოვნა, მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული, 2018 წლის 3 ოქტომბერს შედგენილი №----- შემაკავებელი ორდე-რით და ოქმით ირკვევა, რომ 2018 წლის 17 სექტემბერს ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფმა დ----- კ----------ძემ ხელით და ჯოხით ჩაამტვრია ზ---- პ---------ს საც-ხოვრებელი სახლის მინები.

აღნიშნული შემაკავებელი ორდერის მოქმედება შეწყდა დ----- კ----------ს სარჩე-ლის საფუძველზე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 8 ოქტომბრის გადა-წყვეტილებით დ----- კ----------ს და ზ---- პ---------ს შერიგების გამო, რაც დაფიქ-სირდა მათ ერთობლივ განცხადებაში.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებულია შემდეგი მტკიცებულებებით: ბრალდებულ დ----- კ----------ს ჩვენებით (19.11.2019 წ სხდომის ოქმი), მოწმეების თამარ კ----------ს და ია ჭუმბურიძის (24.10.2019 წ სხდომის ოქმი), ნ--- პ---------ს და ი------ ქ---------ს (13.11.2019 წ სხდომის ოქმი), გამომძიებელ ი-------- ხ----------ს ჩვენებით (19.11.2019 წ სხდომის ოქმი), დ----- კ----------ს დაბადების სააქტო ჩანა-წერით (ტ.1, ს/ფ 69), 2018 წლის 3 ოქტომბრის №------ შემაკავებელი ორდერით (ტ.1, ს/ფ. 148), 2018 წლის 3 ოქტომბრის №------ შემაკავებელი ორდერის ოქმით (ტ.1, ს/ფ 149), ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (ტ.2, ს/ფ 7).

საქმეში არსებული, 2019 წლის 24 ოქტომბრის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან

დას-ტურდება, რომ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი ----------, მისამართი: ე---------- 2018 წლის 22 ოქტომბრიდან დარეგისტრირდა დ----- კ----------ს საკუთრებაში. რეგისტრაციის საფუძველია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იური-დიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთ-რების უფლების აღიარების კომისიის მიერ 2018 წლის 22 ოქტომბერს გაცემული №--- საკუთრების უფლების მოწმობა.
(ტ.2. ს/ფ 10)

საქმეში არსებული, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვ-ნული ბიუროს 2019 წლის 19 სექტემბრის №--------- დასკვნის თანახმად ფანჯრის მინების აღდგენის ღირებულება, მინის საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით საორიენტაციოდ შეადგენს 190,13 ლარს.
(ტ.1, ს/ფ 72).

გააანალიზა რა საქმეში არსებული ზემოაღნიშნული მტკიცებულებები, სააპელაციო პა-ლატა არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის მოტივაციას დ----- კ----------ს დამნაშავედ ცნობის ნაწილში.

იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ნამდვილად ხის ჯოხით ჩაამტვრია ე----------
----------ში მდებარე საცხოვრებელი სახ-ლის ფანჯრის მინები, არც დ----- კ----------ს ხდის სადაოდ.

რაც შეეხება ქმედების კვალიფიკაციას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დანაშაულადაა მიჩნეული **სხვისი ნივთის** დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ნორმაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ ნივთის დაზიანებისა და განადგურებისათ-ვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის **ქონება სხვისი უნ-და იყოს.**

კონკრეტულ შემთხვევაში, საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დასტურდება, რომ ქ----------ში უძრავი ქონება რეგისტრირებულია დ----- კ----------ს სახელზე.

საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ აღნიშნული ქონება ოდესმე რეგისტრირებული იყო ზ---- პ---------ს სახელზე. სააპელაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ უძრავი ქონება დ----- კ----------ს სა-ხელზე დარეგისტრირდა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილე-ბის საფუძველზე.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდების მხარის მიერ არ ყოფილა წარმოდ-გენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ დ----- კ----------მ დააზიანა სხვისი, კონკრეტულად კი დედის – ზ---- პ---------ს ქონება, დ----- კ---------- ცნო-ბილი უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

sarezolucio nawili:

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და

d a a d g i n a :

გაუქმდეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 26 ნოემბრის გამამტყუნე-ბელი განაჩენი **დ----- კ----–---–--ს** მიმართ.

დ----- კ----–----–-- ცნობილი იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-187-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

გამართლებულ დ----- კ----–----–--ს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხო-ვოს ზიანის ანაზღაურება.

დ----- კ----–----–--ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო გაუქმდეს და მოეხსნას ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 22 სექტემბრის განჩინე-ბით ანა შ-------ს (პ/ნ 1----------) უძრავ ქონებაზე, მდებარე ზ----------–----------ში (ს/კ –----------) დადებული ყადაღა.

ნივთმტკიცება – საქმეზე ამოღებული მინის ნატეხები, ხის ჯოხი, ანაწმენდები და ნერ-წყვის ნიმუში განადგურდეს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სა-მართლის საქმეთა პალატაში მისი დადგენიდან 01 (ერთი) თვის ვადაში ქუთაისის საა-პელაციო სასამართლოს მეშვეობით, საკასაციო წესით.

მოსამართლე: **marine imerliSvili**